ხელშეკრულების პროექტი

ქ. მცხეთა – 2011წელი

ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ,——————————(შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ————————————————სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ფრეზეთის, ახალდაბის, უფურეთის, აღდგომლიაანთკარის და დევნილთა დასახლების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ხიდის აღდგენის საუკეთესო კონსტრუქციული გადაწყვეტაზე და ესკიზის გამოვლენაზე და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ——————————ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორნმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს----------.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2011 წლის———–

6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზერუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7. 1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს ——————

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის ცონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელსეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელსეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა. ხელსეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელსეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 105-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელსეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლემამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის სესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში სედის 2011 წლის ————————და მოქმედებს 2011 წლის ————ჩათვლით.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

მცხეთის მუნიციპალიტეტი
ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73
ს/კოდი: 236094196
სს „ლიბერთი ბანკის“ მცხეთის
ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე
გ. ატაშვილი